საქართველოს კანონი

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 28.10.2013, სარეგისტრაციო კოდი: 140030000.05.001.017194) მე-7 მუხლის:
ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პოლიციის თანამშრომლობა სახელმწიფო ხელისუფლების და მუნიციპალიტეტის ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პოლიცია თავისი ფუნქციების შესასრულებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამშრომლობს სახელმწიფო ხელისუფლების და მუნიციპალიტეტის ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

15 ივლისი 2020 წ.

N6919-რს